

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი.

№ 10 (2987) ● შაბათი, 15 იანვარი, 1966 წ. ● ფასი 8 კაპ.

# „ოლიმპიური იმედები"

სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს ბიურომ დაამტკიცა ნორჩ მოთხილამურეთა 1966 წლის საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრების — „ოლიმპიური იმედების" დებულება. ბავშვთა და ახალგაზრდული სპორტული სკოლების ეს ასპარეზობა მიზნად ისახავს სასწავლო-სპორტული საქმიანობის შეჯამებას, პერსპექტიული მოთხილამურეების გამოვლენას, მწვრთნელთა შრომის სტიმულირებას. შეჯიბრების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს სსრ კავშირის სათხილამურო სპორტის ფედერაცია, ხოლო ადგილებზე — რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული ფედერაციები.

ასპარეზობანი ეწყობა სამ ასაკობრივ ჯგუფად (13-14, 15-16 და 17-18-წლიანები) და ორ ეტაპად. I ეტაპის (15-25 იანვარი) შეჯიბრებათა პროგრამაშია: 13-14 წლის ბიჭებისა და გოგონებისთვის — რბენა 3 და 2 კილომეტრზე შესაბამისად; 15-16 წლის ჭაბუკებისა და გოგონებისთვის — 5 და 3 კილომეტრზე; 17-18-წლიანებისთვის — 10 და 5 კილომეტრზე. II ეტაპის (15-25 თებერვალი) პროგრამაშია: 13-14-წლიანებისთვის — რბენა 5 და 3 კილომეტრზე, 15-16-წლიანებისთვის — 10 და 5 კილომეტრზე, 17-18-წლიანებისთვის — 15 და 8 კილომეტრზე.

ბავშვთა და ახალგაზრდული სპორტსკოლები, რომლებსაც აქვთ სათხილამურო განყოფილებანი, შეჯიბრებებს გამართავენ დებულებით დადგენილ ვადებში. ასპარეზობანი ყველა სკოლაში პირადია. ყოველი ეტაპის სტარტების შემდეგ არა უგვიანეს 10 დღისა სკოლების ხელმძღვანელებმა სსრ კავშირის სათხილამურო ფედერაციაში უნდა წარადგინონ ინფორმაცია, რომელშიც აღნიშნული იქნება ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფსა და დისტანციაზე გამარჯვებული სამი მოთხილამურის სახელი, გვარი და შედეგი.

ყოველი სკოლის I და II ეტაპების შეჯიბრებათა შედეგები მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასპარეზობაში მონაწილეობდა მოსწავლეთა არანაკლებ 90 პროცენტი. შესაბამისი სპორტკავშირების მიერ დამოწმებული მასალების საფუძველზე სსრ კავშირის სათხილამურო ფედერაცია განსაზღვრავს 3-3 საუკეთესოს ყველა ასაკსა და დისტანციაზე. გამარჯვებულებისა და მათი მწვრთნელების გვარები გამოქვეყნდება „სოვეტსკი სპორტში".

სკოლა, რომელიც ორივე ეტაპის ჯამში მოამზადებს მეტ პრიზიორს, დაჯილდოვდება „სოვეტსკი სპორტის" გარდამავალი პრიზითა და სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს სიგელით. გამარჯვებული სკოლის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ყველა ასაკსა და დისტანციაზე ფედერაციაში წარდგენილი მასალების საფუძველზე დადგენილი 3-3 საუკეთესო. ყოველ დისტანციაზე უძლიერესად აღიარებულს ერიცხება 5 ქულა, II ადგილზე გასულს — 3, III ადგილზე გასულს — 1.

სკოლები, რომლებიც დაიკავებენ II-V ადგილებს, დაჯილდოვდებიან სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს სიგელებით.

ბ ა კ უ რ ი ა ნ ი, 14 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გიგანტურ სლალომში ასპარეზობის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის უძლიერეს სამთო-მოთხილამურეებს ერთი დღით „სულის მოთქმის" საშუალება მისცეს. მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს სპორტსმენები, რომელთა უმრავლესობა ორდღიანი ტურნირის შედეგებით პირველი ათეულის მიღმა დარჩა, „აზრზე მოვიდოდნენ", გაითვალისწინებდნენ თავიანთ ტაქტიკურ შეცდომებს და სპეციალურ სლალომში უკეთესი ადგილებისთვის იბრძოლებდნენ. სპეციალურ სლალომში გუშინ და გუშინწინ გამართული ასპარეზობანი რომ დამთავრდა, ჩვენი რესპუბლიკის მოთხილამურეების მდგომარეობა, მართლაც, შეიცვალა, მაგრამ... უარესობისკენ.

ვაჟთა სპეციალურ სლალომში (ტრასის სიგრძე 515 მ, კართა რაოდენობა: I ცდისას — 70, II ცდისას — 65, სიმაღლეთა სხვაობა — 180 მ) სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადის ჩემპიონი, ბაკურიანელი ი. ჯანგობეგოვი („დინამო") ერთადერთი იყო ჩვენი რესპუბლიკიდან, რომელმაც XII შედეგით მეორე ათეულში დაიმკვიდრა ადგილი. ორი ცდის ჯამში მან აჩვენა 2.13,1 (1.09,8+1.03,3). სხვები ოცეულს მიღმა დარჩნენ. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ გ. აბრამიშვილი („დინამო"), რომელსაც I ცდის მერე მეორე მაჩვენებელი (1.04,0) ჰქონდა და მხოლოდ 2,4 წამს აგებდა ლიდერთან, მოსკოველ ვ. ტალიანოვთან (ცსკა). მეორე ცდისას აბრამიშვილმა იჩქარა, კარი გამოტოვა, საკმაო დრო დაკარგა და ასპარეზობას გამოეთიშა.

საქართველოს სხვა მოთხილამურეებმა დაიკავეს შემდეგი ადგილები: 22-ე — შ. კოზანაშვილმა („დინამო") — 2.24,5, 26-ე — ი. ნასყიდაშვილმა (განათლების განყოფილება) — 2.32,2, 28-ე — ვ. ალახვერდიევმა („დინამო") — 2.34,4, 29-ე — დ. თვაურმა (ბაკურიანის სკოლა) — 2.38,8, 48-ე — ჯ. ჯიჯოევმა („ბურევესტნიკი") — 3.42,5.

როგორც ველოდით, პირველობას აქაც ვ. ტალიანოვი დაეუფლა — 1.58.8 (1.01,6+57.2). II იყო მისი თანაგუნდელი ა. კურაევი — 2.04,3 (1.05,7+58,7), III — მოსკოველი ა. ტორმოჯნი („ბურევესტნიკი") — 2.05,7 (1.05,1+1.00,6).

გუშინ ასპარეზობდნენ ქალები (I ტრასის სიგრძე — 400 მ, 57 კარი, სიმაღლეთა სხვაობა — 165 მ; II ტრასის სიგრძე — 460 მ, 53 კარი, სიმაღლეთა სხვაობა — 175 მ). საქართველოს სპორტსმენებმა ცუდად იასპარეზეს. მათში საუკეთესო — ნ. ომიაძემ („დინამო") დაიკავა მე-17 ადგილი — 2.50,0, ხოლო შ. [illegible] („განთიადი") — მე-19 — 2.53,3. მ. თვაური („დინამო") გავიდა 24-ე ადგილზე — 3.33,3. ლ. გოგოლაძემ („კოლმეურნე") პირველი ტრასა გაიარა 1 00,5-ში, მეორე ტრასაზე კი... გ. აბრამიშვილის ბედი გაიზიარა.

საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს: 1. ა. კონიაევამ (მოსკოვის ოლქის „დინამო") — 1.50,3 (53,6+56,8), 2. ნ. მერკულოვამ (მოსკოვის „სპარტაკი"), 3. ა. არტიომენკომ (ალმა-ათის „ლოკომოტივი").

ამით დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სამთო-მოთხილამურეთა ასპარეზობა — სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადის გენერალური რეპეტიცია. ტურნირმა ცხადყო მოსკოველთა შესანიშნავი მომზადება. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ყველა დისტანციაზე ათეულებში თითქმის მთლიანად ისინი ბატონობდნენ.

საქართველოს სამთო-მოთხილამურეთა მომზადების დღევანდელი დონე (ორიოდე ვაჟის გამოკლებით) მეტისმეტად სავალალოა და ძალიან საეჭვოა რომ მათ წარმატება მოიპოვონ საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრებაში — 4-12 მარტს, ტერსკოლში. მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია ამ ჩემპიონატამდე დარჩენილი 2 თვის მაქსიმალურად გამოყენება ჩვენი ნაკრების კანდიდატებმა სამზადისში მთავარი ყურადღება უნდა დაუთმონ არა მარტო ტექნიკის სრულყოფას, არამედ ფიზიკური მომზადების ამაღლებასაც.

ჩემი აზრით, სათხილამურო სპორტის ფედერაციამ და იმათ, ვისაც სპარტაკიადისთვის საქართველოს სამთო-მოთხილამურეთა მომზადება ევალებათ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიაღწიონ გუნდში დისციპლინისა და რეჟიმის განმტკიცებას.

ლ. ფანჯაკიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

● ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი, 13 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ბელგრადის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების დღევანდელმა გამოსვლებმა კვლავ მრავალრიცხოვანი მაყურებელი მიიზიდა. სტუმარი ქალები შეხვდნენ ლენინგრადის ნაკრებს. საინტერესო მატჩში ძალიან კარგად ითამაშა საბჭოთა კალათბურთის ვეტერანმა ნ. პოზნანსკაიამ, რომელიც 11 ქულისა და მრავალი მახვილგონიერი კომბინაციის ავტორი იყო. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 54:41 (21:17). თავიანთ გუნდებს 14-14 ქულა შესძინეს გ. ფიოდოროვამ და ბელგრადელმა ც. კალუშევიჩმა. ბელგრადისა და რსფსრ-ს ვაჟთა ნაკრები გუნდების შეხვედრაშიც წარმატება წილად ხვდათ საბჭოთა სპორტსმენებს — 71:66 (43:33). მატჩის საუკეთესო სნაიპერები იყვნენ ბელგრადელი ვ. ცვეტკოვიჩი (22 ქულა) და სვერდლოვსკელი ს. ბელოვი, რომელმაც თითქმის ყველა 23 ქულა შორიდან სროლით „დააგროვა".

● კალინინი, 14 იანვარი. ალანის თასის მფლობელმა, კანადის ჰოკეისტთა კლუბმა „შერბრუკ ბივერსმა" სსრ კავშირში თავისი ტურნე წაგებით დაიწყო: იგი აქ დამარცხდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან — ცსკა-სთან — 4:15.

● კლინგენტალი (გდრ), 14 იანვარი. ინსბრუკის ჩემპიონი კლავდია ბოიარსკიხი კვლავ „ოლიმპიურ" ფორმაშია: მან ყველას აჯობა მოთხილამურეთა აქ გამართული საერთაშორისო შეჯიბრების 10-კილომეტრიან რბოლაში — 39.10,0. ბოიარსკიხს ნაღდი პაექრობა მხოლოდ მისმა მეგობარმა და თანაგუნდელმა რ. აჩკინამ გაუწია, რომელიც გამარჯვებულს 15 წამით ჩამორჩა. უძლიერესმა შვედმა მოთხილამურემ ბ. სტრანდბერგმა დაიკავა III ადგილი — 41.40,0.

● ბ რ ო ტ ე რ ო დ ი, 13 იანვარი. აქ გაიმართა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარე „ტრამპლინიდან მხტომელთა მეგობრობის კვირეულის" II ეტაპი. „მფრინავ მოთხილამურეთა" ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობენ 5 ქვეყნის წარმომადგენლები. კვლავ საუკეთესო შედეგები მოიპოვა ლენინგრადელმა პ. კოვალენკომ — 223,5 ქულა (ნახტომები — 86 და 79,5 მ). II ადგილზე გავიდა გდრ-ის ჩემპიონი დ. ნოიენდორფი — 212,2 ქულა (83,5 და 75 მ). III ადგილი დაისაკუთრა ბაკურიანელმა კ. წაქაძემ — 211 ქულა (81,5 და 79 მ). გუნდურ ჩათვლაში კვლავ საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს. ობერჰოფსა და ბროტეროდში გამარჯვებათა შემდეგ პირად ჩათვლაში 453,6 ქულით ლიდერობს პ. კოვალენკო.

● ბევერვეიკი (ჰოლანდია). 13 იანვარი. ადგილობრივ XXVIII საჭადრაკო ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს 20 ქვეყნის 200-ზე მეტი წარმომადგენელი. მთავარი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოველი დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი და ტალინელი ოსტატი ი. ნეი, უკვე დაიწყო. კენჭისყრით I ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები ერთმანეთს შეხვდნენ. გაიმარჯვა პოლუგაევსკიმ. ოსტატ ვაჟთა ტურნირში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ქალთა ორგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.

# კალათბურთელთა „სტიპლჩეზი"

დახლართული და ნარ-ეკლიანია ევროპის ქვეყნების კალათბურთელი ვაჟების ჩემპიონთა თასის გათამაშების გზა. შეჯიბრების პირველი სტადიის შემდეგ, როცა მატჩები ოლიმპიური წესით იმართებოდა, დარჩენილი 8 უძლიერესი გუნდი ახლა ორ ნახევარფინალურ ჯგუფადაა დაყოფილი, სადაც ასპარეზობა უკვე წრიული სისტემით მიმდინარეობს. ნახევარფინალებში გამარჯვებულთა მატჩმა უნდა გამოავლინოს ამ საპატიო ნადავლის წლევანდელი მფლობელი.

სსრ კავშირის ჩემპიონებთან — ცსკა-ს კალათბურთელებთან ერთ ჯგუფში მოხვდნენ „ზადარი" (იუგოსლავია), აეკ-ი (საბერძნეთი) და „ჩერვენო ზნამია" (ბულგარეთი).

გუშინწინ მოსკოველები თავიანთ ქალაქში შეხვდნენ ბულგარეთის ჩემპიონებს და გაიმარჯვეს — 77:64 (34:30).

მაგრამ არითმეტიკა მთლიანად როდი გამოხატავს ცსკა-ს სპორტის სასახლეში გამართული მატჩის დაძაბულობას. „ჩერვენო ზნამიას" ახალგაზრდა არმიელი სპორტსმენები არ შედრკნენ საბჭოთა კალათბურთის დიდოსტატთა წინაშე. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ მასპინძლებმა უღიმღამოდ დაიწყეს თამაში და უამრავ შეცდომასაც უშვებდნენ. ამიტომ იყო, რომ ბულგარელები დაწინაურდნენ (სხვაობა ანგარიშში ხანდახან 9 ქულას შეადგენდა) და უპირატესობა მატჩის მე-19 წუთამდე შეინარჩუნეს.

მოსკოველებმა მოახერხეს თამაშში გარდატეხის შეტანა, მაგრამ საპასუხო შეხვედრაში, რომელიც 20 იანვარს გაიმართება სოფიაში, მათ უაღრესად ძნელი ამოცანის გადაწყვეტა მოუხდებათ.

* * *

ბ ე ლ გ რ ა დ ი, 14 იანვარი. მაშინ, როცა მოსკოვში ცსკა-ს კალათბურთელები „ჩერვენო ზნამიას" ეთამაშებოდნენ, ზადარში ერთმანეთს ხვდებოდნენ „ზადარი" და აეკ-ი. ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 59:59. დამატებითმა ხუთ წუთმა „ბედის სასწორი" ბერძნების მხარეს გადახარა — 71:69.

განმეორებითი მატჩი გაიმართება 20 იანვარს, ათენში.

საათი!

# „სელტიკი" იგვიანებს...

ლონდონი, 14 იანვარი. აქ გამოქვეყნდა ცნობა, რომ „სელტიკისა" და კიევის „დინამოს" საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი, რომელიც თბილისში 19 იანვარს უნდა ჩატარებულიყო, ამ რიცხვში არ შედგება. „სელტიკის" ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა თვითმფრინავით თბილისში მოსკოვზე ან სხვა პუნქტზე გავლით ჩასვლაზე, ვინაიდან, მისი აზრით, ასეთ მგზავრობას მეტი დრო მოუნდება, დაირღვევა გუნდის გეგმიური კალენდარი და ამის გამო „სელტიკი" ვერ ითამაშებს შოტლანდიის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩს. შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა ითხოვეს პირდაპირი რეისი გლაზგო — თბილისი. მათი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, მაგრამ პასუხი „სელტიკმა" იმ დროს მიიღო, როცა ზემოაღნიშნულ ვითარებას აღარაფერი ეშველებოდა. ამის გამო მატჩი კიევის „დინამოსთან" გადადებულია, სავარაუდოა — ერთი კვირით. (საქ. ინფ.).

ცხინვალი

აქაურმა ჭადრაკის მოყვარულებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: გაიხსნა კეთილმოწყობილი საჭადრაკო კლუბი.

ვ. მელქოევი.
(დეპეშით, ჩვენი კორ.).



# იპოდრომზე... „რკინის რაშები"

ახლახან საინტერესო ასპარეზობა მოეწყო მოსკოვის ცენტრალური იპოდრომის სარბიელზე, სადაც „კანონიერ" ბედაურთა ნაცვლად „რკინის რაშები" დაქროდნენ: გაიმართა საავტომობილო რბოლები ზამთრის სეზონის გახსნის პრიზზე. „ვოლგებით", „მოსკვიჩებითა" და სარბოლო მანქანებით ასპარეზობაში 42 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

ს უ რ ა თ ზ ე: ფინიშთანაა სარბოლო მანქანების კლასში გამარჯვებული, სპორტის ოსტატი ვ. შჩაველევი.

ფოტო ნ. კულეშოვისა (საკდესი).

# კი, ვინ გვასახელა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ სალარაძე ქართველ მოჭიდავეთა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც ღირსეულად ჩამოართვა ესტაფეტა ძველი გვარდიის გამოჩენილ ათლეტებს. თავისუფალ ჭიდაობაში იგი სახელოვანი საბჭოთა ფალავნის ვახტანგ ბალავაძის პირდაპირი მემკვიდრეა.

ხაჭიდაო იერარქიის უმაღლეს მწვერვალზე ასვლამდე გურამმა ძნელი გზა განვლო. მაგრამ აი, მიზანი მიღწეულია და მას შემდეგ იგი უწყვეტად ატარებს მსოფლიოში უძლიერესი მოჭიდავის წოდებას.

გურამი ახალგაზრდაა, დიდი ცხოვრება აქვს გასავლელი და იმედია, რომ სამამულო სპორტის გულშემატკივრებს იგი კიდევ ბევრი ბრწყინვალე გამარჯვებით გაახარებს.



ჭიდაობა სალარაძეთა ოჯახის ტრადიციაა. გურამის მამა — რევაზ სალარაძე ჩინებული მოჭიდავე გახლდათ, ბიძამისი იორამი წლების მანძილზე ამ ვაჟკაცური სპორტით იყო გატაცებული. და აბა, რა გასაკვირია, რომ გურამიც ჭიდაობამ მიიზიდა.

სურათზე: სალარაძეთა „ტრიო" (მარცხნიდან მარჯვნივ) — იორამი, გურამი და რევაზი.

ფოტო გ. კიკვაძისა.

# ...მათ კვალს გავყევი

## ინტერვიუ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან

გურამ სალარაძე მეტად კოლორიტული ფიგურაა საბჭოთა სპორტის, კერძოდ კი, ჭიდაობის ისტორიაში. მოკლე დროში მან თავისი გულღიობითა და კეთილი ხასიათით, ვაჟკაცური შემართებითა და უალრესი თავმდაბლობით საყოველთაო სიყვარული და სიმპათია დაიმსახურა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა: გურამი თავის თავში ხომ საბჭოთა სპორტსმენის დამახასიათებელ ყველა მაღალ მორალურ თვისებას აერთიანებს!

ამას წინათ „ლელოს" კორესპონდენტი ნ. გუგუშვილი ესაუბრა გ. სალარაძეს. ვბეჭდავთ საუბრის ტექსტს:

● როდის დაიწყეთ ჭიდაობა?

— 1955 წელს, თბილისის საცურაო აუზის ტერიტორიაზე მდებარე საჭიდაო დარბაზში.

● ვინ იყო თქვენი პირველი მწვრთნელი?

— ჩემი პირველი და ერთადერთი მწვრთნელია შალვა ნოზაძე.

● რატომ მაინცდამაინც ჭიდაობაზე შეჩერდა თქვენი არჩევანი?

— ჭიდაობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი ოჯახის ტრადიციაა. ჭიდაობით იყვნენ გატაცებული მამაჩემი, ბიძაჩემი... მეც მათ კვალს გავყევი. აბა, სხვა რა უფლება მქონდა?!

● მეტოქის რომელ ილეთს გაურბიხართ ყველაზე მეტად?

— ფეხებში შევარდნას, ილეთს, რომლის შესრულება ყველაზე მეტად მიყვარს.

● გსიამოვნებთ თუ არა, როდესაც თქვენს ჭიდილს ახლობლები ესწრებიან?

— ნათესავების „წინააღმდეგი ვარ", მეგობრებისა — არა.

● რა მიგაჩნიათ მოჭიდავის ყველაზე დიდ მტრად?

— ზედმეტი წონა.

● რა ცვლილებებს ისურვებდით ჭიდაობის წესებში?

— პასიური ბრძოლის წინააღმდეგ რაიმე ეფექტური საშუალების გამონახვას.

● ვინ მიგაჩნიათ ყველაზე დიდ მოჭიდავედ მსოფლიოში?

— გივი კარტოზია.

● რა გეგმები გაქვთ საჭიდაო ხალიჩიდან წასვლის შემდეგ?

— არასდროს ვიქნები მწვრთნელი. კვების მრეწველობის ტექნოლოგიის ინჟინრის პროფესიას ვერ ვუღალატებ. ისე კი, საზოგადოებრივ საწყისებზე, ცხადია, დავეხმარები ახალგაზრდებს, თუ კი მათ ეს დახმარება დასჭირდებათ.

● რას უსურვებთ თქვენს კოლეგებს— მოჭიდავეებს?

— ერთ კარგ, კომფორტაბელურ სავარჯიშო ბაზას. ეს, ჯერჯერობით, ყოველი ჩვენთაგანის განუხორციელებელი ოცნებაა.

● მოჭიდავე რომ არ ყოფილიყავით, სპორტის რომელ სახეობას გაჰყვებოდით?

— ფეხბურთს, რომლის ყურება ისე არ მიყვარს, როგორც თამაში.

● რა მიგაჩნიათ გასული წლის ყველაზე დიდ სპორტულ მოვლენად?

— ომარ ფხაკაძის გამარჯვება, რომელმაც, ჩემი აზრით, ბრუმელის ყველა რეკორდი მოხსნა.

● ვის თვლით მსოფლიოში უდიდეს სპორტსმენად?

— მთამსვლელებს — შერპ თენსინგსა და ახალზელანდიელ ჰილარის.

● როდის განიცადეთ ყველაზე დიდი სიხარული?

— არ მახსოვს. ისე კი ყოველივე კარგი მიხარია — ჩემიც და სხვისიც.

● პირველად რომ გახდით მსოფლიოს ჩემპიონი?

— სიხარულის საბაბი, რა თქმა უნდა, უზომო იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მღელვარებამ „გადამწვა". ალბათ ამიტომ ეს დიდი გამარჯვება ჩვეულებრივ ამბად მივიღე.

● რითი აიხსნება თქვენი სიახლოვე თეატრთან და მსახიობებთან?

— უცნაური შეკითხვაა! იმით, რომ მიყვარს თეატრი და მუსიკა. გარდა ამისა იმითაც, რომ უდიდეს პატივს ვცემ ეროსი მანჯგალაძეს, დოდო აბაშიძეს, რევაზ ლალიძეს და ყველა იმ სახელოვან მამულიშვილს, რომლებმაც შემაყვარეს ქართული ხელოვნება.

● ოდესმე ხომ არ გქონიათ მსახიობობის სურვილი?

— მქონდა, მაგრამ ქართული თეატრისთვის ერთი გურამ სალარაძეც საკმარისია.

● რომელი მსახიობი გიყვართ ყველაზე მეტად?

— სერგო ზაქარიაძე.

● მუსიკოსი?

— ლუი არმსტრონგი. ამბობენ, დასავლეთში იგი მოდიდან გამოდისო. არა მგონია. არმსტრონგის მუსიკალური ტალანტი ყოველგვარ მოდას აღემატება (სხვათა შორის, მას არც თუ ურიგოდ ჰბაძავს დოდო აბაშიძე).

● თქვენ საესტრადო მუსიკა გყვარებიათ.

— დიახ, ოღონდ მელოდიური საესტრადო მუსიკა.

● რომელ მუსიკალურ ინსტრუმენტს სცემთ პატივს?

— ყველას, განსაკუთრებით კი გიტარას.

● სიმღერას?

— ძველებურ ქართულ და რუსულ რომანსებს.

● რომელია თქვენი საყვარელი მწერალი?

— კონსტანტინე გამსახურდია.

● რომელმა უცხოურმა ქვეყანამ დასტოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

— იაპონიამ, მისი ხალხის შრომისმოყვარეობამ.

● დაგვისახელეთ ყველაზე ლამაზი ქალაქი მსოფლიოში.

— სტამბოლი — ევროპისა და აზიის ეს საოცარი სინთეზი.

● სად, რომელ ქალაქში გინახავთ ყველაზე ლამაზი ქალები?

— ჰონკონგში, სადაც, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი დღე დავყავი იაპონიაში გამგზავრების წინ.

● წელიწადის რომელი დრო მიგაჩნიათ საუკეთესოდ?

— შემოდგომა, ვინაიდან იგი ჩვენში ხვავითა და ბარაქითაა განთქმული. და კიდევ იმიტომ, რომ წიწილებს სწორედ შემოდგომაზე ითვლიან.

● ყოველდღიურ ცხოვრებაში რა მოქმედებს თქვენზე ყველაზე უფრო ცუდად?

—ის, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ერთი უმნიშვნელო ნაწილი დროს უქმად და ფუჭად ატარებს.

● ბოლო წლების პოლიტიკური ცხოვრების რომელმა კონფლიქტმა აღგაშფოთათ ყველაზე მეტად?

— კენედის მკვლელობამ და იმ უსუსურობამ, რაც დალასის პოლიციამ გამოიჩინა ძიების პროცესში.

● უახლოესი მომავლის რომელი მოვლენა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად?

— რუსთაველის იუბილე და თბილისის მეტროს ახალი რიგის მწყობრში ჩადგომა.



უზომოდ დიდია საბჭოთა მოჭიდავეების ავტორიტეტი საზღვარგარეთ. უცხოეთის პრესა სისტემატურად აქვეყნებს ჩვენი სახელოვანი ფალავნებისადმი მიძღვნილ მასალებს. აი, თქვენს წინაა ირანული სპორტული ჟურნალის ფურცლები, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა მოჭიდავეების ტურნეზე ამ ქვეყანაში.

## სპორტული მ... მთავარი...

1. თბილისის საერთაშორისო ტურ...
2. სტუდენტთა და ახალგაზრდობ... წლის ივლისი-აგვისტო. I ადგილი.
3. თბილისის საერთაშორისო ტური...
4. მსოფლიოს პირველობა. სოფი...963
5. სსრ კავშირის პირველობა. ბაქ...964
6. XVIII ოლიმპიური თამაშები. ტო...
7. ირანის საერთაშორისო ტურნ... 19...
8. თბილისის საერთაშორისო ტური...
9. მსოფლიოს პირველობა. მანჩეს...
10. სსრ კავშირის პირველობა. 196...

# საბჭოთა დღე უიმბლდონში

## შენიშვნები საჩოგბურთო წლის შედეგებზე

სპორტულ ჟურნალისტებს უყვართ შეკითხვები, განსაკუთრებით, ახალწლის წინ. მეც მომიწია საახალწლო ინტერვიუს მიცემამ. ერთ-ერთმა კორესპონდენტმა მკითხა:

— საჩოგბურთო წლის რომელი მოვლენა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

იოლი როდი იყო უმალვე პასუხის გაცემა. ბევრი საინტერესო რამ მოუტანა საბჭოთა ჩოგბურთის მოყვარულებს განვლილმა წელმა. კოსმოსური სისწრაფით გაიელვეს მეხსიერებაში ახლო წარსულის მოვლენებმა. რომელი მათგანი ჩავთვალოთ ყველაზე მნიშვნელოვნად?

მომაგონდა მოკლე საუბარი, რომელიც 3 ივლისს, ლონდონში, უიმბლდონის ტურნირის ფინალების დღეს მქონდა.

ჩემმა ძველმა ნაცნობმა, ბეკენჰემის ლაუნ-საჩოგბურთო კლუბის თავმჯდომარემ, ბ-ნმა მაკალამმა საბჭოთა სპორტსმენების წარმატებული გამოსვლა მომილოცა და მითხრა:

— ინგლისელები, სამწუხაროდ, შევეჩვიეთ ჩვენი ოსტატების დამარცხებებს უიმბლდონში, ისევე როგორც ოკეანისგაღმელი სტუმრების — ავსტრალიელებისა თუ ამერიკელების გამარჯვებებს ლონდონის კორტებზე. და აი, ავსტრალიელები დღეს კვლავ ზეიმობენ მარგარიტ სმითის, როი ემერსონისა და თავიანთი წყვილების გამარჯვებებს. მაგრამ მე მთელი სულითა და გულით ვულოცავ საბჭოელებს. დღეს უიმბლდონში საბჭოთა დღეა. სამი გამარჯვება სამ ფინალში — ეს შესანიშნავია! ეს იმაზე მეტყველებს, რომ საბჭოთა ჩოგბურთს ეკუთვნის მომავალი.

დიახ, საბჭოთა დღე მსოფლიოს უდიდესი ტურნირის ფინიშზე უეჭველად ყველაზე ბრწყინვალე იყო ჩვენთვის საჩოგბურთო 1965 წელს.

იუნიორთა ტურნირები სამართლიანად ითვლება „იმედების ტურნირებად": მათში იბრძვიან ისეთნი, რომელთაც „პირველ ჩოგნებად" გახდომის დიდი შანსები აქვთ. სწორედ ასეთ ტურნირებში გამოიხატება მიმართულებები და სპორტის ამ სახეობის განვითარების პერსპექტივები.

მოსკოველმა მოსწავლეებმა — დინამოელმა ო. მოროზოვამ და ვ. კოროტკოვმა (ცსკა) უიმბლდონში საუკეთესოდ გამოიჩინეს თავი. მათ აჩვენეს ეფექტური თანამედროვე ჩოგბურთი — მძლავრი, სწრაფი, შემტევი... ისინი გამოირჩეოდნენ კარგი ათლეტური მომზადებით, მტკიცე ნებისყოფითა და მრავალფეროვანი ტექნიკით. ყოველივე ამან შეაძლებინა მათ ამ ძნელი შეჯიბრებების ფინიშამდე წაუგებლად მისვლა. ამ ტურნირში ხომ მსოფლიოს თითქმის 20 ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლები იბრძოდნენ! როცა ფინალის დღეს მოროზოვამ დამაჯერებლად მოუგო არგენტინელ რ. გიგაფრს, ხოლო კოროტკოვმა — ფრანგ გ. გოვენს, ცხადი გახდა, რომ ნორჩი საბჭოთა სპორტსმენები უშიშრად უყურებენ თავიანთ მომავალს და რომ ჩვენი „საჩოგბურთო კურსი" სწორია. დამახასიათებელია, რომ სსრ კავშირის ახალგაზრდა წარგზავნილთა „დუბლი" პირველია უიმბლდონის იუნიორთა ტურნირების ისტორიაში.

მოროზოვასა და კოროტკოვის ლონდონური წარმატებები ერთობ იმედიანი იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი საიმედო მხოლოდ ამ ორ სახელთან როდი იყო დაკავშირებული. საყურადღებოა, რომ კიევში, 6 ქვეყნის ჭაბუკთა და გოგონათა საერთაშორისო ტურნირში, მოროზოვამ და კოროტკოვმა ფინალში წააგეს და იძულებული გახდნენ II ადგილებით დაკმაყოფილებულიყვნენ. მოროზოვას მოუგო მოსკოვ... სპარტაკელმა რ. ისლანოვამ, ხოლ... კოროტკოვს — თბილისელმა თ. კაკუ... ლიამ. კიევის ტურნირის გამარჯვებუ... ლები ისევე კარგად მომზადებული აღ... მოჩნდნენ, როგორც უიმბლდონის გმი... რები.

წლის უკანასკნელი მესამედის შეჯიბ... რებებმა წინა პლანზე წამოსწია კიდე... რამდენიმე ახალი სახელი. სსრ კავში... რის პირად პირველობაში ხარკოვში მო... როზოვასა და ისლანოვაზე ძლიერ... აღმოჩნდა მოსკოვის დინამოელი, 1... წლის ტ. ჩალკო, რომელიც ნახევარფი... ნალში გავიდა. ჭაბუკთა შორის შესა... ნიშნავად ითამაშეს მოსკოვის სპარტა... კელმა ა. ვოლკოვმა, უჟგოროდელმ... ა. ეგოროვმა და ზოგიერთმა სხვამ.

სასიხარულოა, რომ საბჭოთა ახალგა... ზრდულმა ნაკრებმა (უმეტრეველოდ) შეძლო გალეას თასის გათამაშებაში II ადგილზე გასვლა. ეს შეჯიბრება ფაქ... ტიურად ხომ ევროპის პირველობა...

# ...ერცხლი ...ქროდ ...ადაადნო

...შეიძლება იყოს მასწავლებლისთვის იმაზე უფრო სა... და საპატიოდულო, როცა მისი მოწაფე საქვეყნოდ გა... ამს სახელს და შესანიშნავი მამულიშვილი დადგება. ...სწორედ იმ ბედნიერ პედაგოგთა რიცხვს ვეკუთვნი, ...ელთა აღზრდილები ნაყოფიერად ილვწიან სამშობლოს ...გებლად და სადიდებლად.

...ასეთი მოწაფეთაგანია გურამ საღარაძე. ამ სტრი... ...ავტორი და გურამი წილკნის ქუჩაზე მეზობლად ...ვრობდით და, ბუნებრივია, მისმა ბავშვობამ ჩემს ...წინ გაიარა...

...რამი ჩემი მოწაფე გახდა 1953 წელს, როცა თბილი... ...-60 სკოლის VII კლასში სწავლობდა. იგი მუდამ ...რჩეოდა გულმოდგინებით, მოკრძალებულობითა და ...ოსებისადმი თავაზიანი დამოკიდებულებით. არ მახ... ...შემთხვევა, მას გაკვეთილი რომ არ სცოდნოდეს. უკვე ...ნ გურამი კარგად უხამებდა ერთმანეთს ბეჯით სწავ... ...და სპორტში მეცადინეობას. მისი სპორტული გატა... ...საგანი იყო ქართული ჭიდაობა და უნდა ითქვას, ...ჭაბუკის ამ მისწრაფებას ყოველნაირად უწყობდა ...ფიზაღზრდის მასწავლებელი უ. კოხრეიძე. ამასთან ...მორებით არ შემიძლია არ გავიხსენო ამ ათიოდე წლის ...თ მომხდარი ერთი საინტერესო შემთხვევა.

...ენს სკოლაში პედაგოგიურ პრაქტიკას გადიოდა სახე... ...ანი ფალავანი, თავისუფალი ჭიდაობის უბადლო ოს... ...ი ვ. ბალავაძე. ერთ-ერთი შესვენების დროს ერთად ...ქით ვ. ბალავაძე, უ. კოხრეიძე და მე. უეცრად კოხ... ...მ პატარა ბიჭუნას უხმო, რომელიც ხარბად შესცქე... ...ა ფალავანს. ბიჭი მოგვიახლოვდა და მორცხვად გაჩე... ...უმანკომ ხუჭუჭა თმებზე გადაუსვა ხელი გარინდულ ...ნას და ვახტანგს უთხრა: აი, ეს ბიჭი შეგცვლის დიდ ...იელზეო.

...მინ რა ვიცოდით, რომ ხუმრობით ნათქვამი ეს სიტყ... ...ამე საოცრად ახდებოდა რამდენიმე წლის შემდეგ, ...ც სწორედ იმ წონაში, რომელშიც ვახტანგს ტოლი არ ...და.

...ობათ მიხვდით: ეს ბიჭუნა გურამ საღარაძე იყო.

...საშუალო სკოლა გურამმა 1957 წელს დაამთავრა. იგი ...ად სწავლობდა და მშობლებს სკოლაში მოსვლით არ ...ებდა. ეს იყო, რომ ხანდახან დედის გული ვერ მოით... ...ა ხოლმე და ჩვენთან შემოივლიდა. გურამის მამას კი ...ვიცნობდი, გამეგონა — კარგი ვაჟკაციაო. და აი, ...7 წლის ივნისის ბოლოა. გამოცდები იწურება. სამას... ...ებლო ოთახში ვსხედვართ სკოლის დირექტორი მ. სი... ...ლიძე და მე. ოთახში შემოვიდა წარმოსადეგი ვაჟკაცი ...იკითხა: გურამ საღარაძის მამა ვარ, როგორ არის ...ბიჭის საქმეებიო?

...ირექტორმა ხმამაღლა გაიცინა და ხუმრობით უთხრა: ...დალოცვილო, 11 წელია ჩვენთან სწავლობდა და ერთ... ...ც არ გიკითხავს შენი ბიჭის ამბავი და როცა ვერცხ... ...მედალოსანი ხდება, ახლა მოხვედით?.. მამას სიამოვ... ...თ სახე გაებადრა.

...კოლაში მიღებული ვერცხლის მედალი გურამმა შემდ... ...საჭიდაო სარბიელზე მოპოვებულ ოქროდ გადაადნო.

**ზ. უშარაული,**

...თბილისის მე-15 საშუალო სკოლის ქართული ...ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

# ...ბიოგრაფიის ...თარიღები

...რი. 1962 წლის 13-15 აპრილი. I ადგილი.
...VIII მსოფლიო ფესტივალი. ჰელსინკი. 1962
...ური. 1963 წლის 22-25 მარტი. I ადგილი.
...1963 წლის 31 მაისი-2 ივნისი. I ადგილი.
...1964 წლის 11-14 ივნისი. I ადგილი.
...იო. 1964 წლის 11-14 ოქტომბერი. II ადგილი.
...50 1964 წელი. I ადგილი.
...ური. 1965 წლის 2-5 აპრილი. I ადგილი.
...ისი. 1965 წლის 1-3 ივნისი. I ადგილი.
...196... წლის 3-5 სექტემბერი. I ადგილი.



— რა არის თქვენი წარმატებების საფუძველი? — ასეთი შეკითხვით ხშირად მიმართავენ ჩემპიონს.

— ჭიდაობის უსაზღვრო სიყვარული და მუყაითი შრომა, — ამბობს ჩემპიონი.

ყოველივე ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჩვენ კიდევ რამდენიმე „მიზეზს" დავამატებთ: ძალიან ღონიერი გურამი ამავე დროს მეტად სწრაფია და საზრიანი. იგი მუდამ ასწრებს მეტოქეს ილეთის ჩატარებას, რისი წყალობითაც ბრძოლას, როგორც წესი, თავისთვის ხელსაყრელ კალაპოტში წარმართავს.

სურათზე თქვენ ხედავთ ყურადღებადქცეულ გ. საღარაძეს ილეთის ჩატარების წინ.

ფოტო გ. კიკვაძისა.



ხშირად ასე ატარებს თავისუფალ დროს მსოფლიოს ჩემპიონი. გურამი და გიტარა განუყრელი მეგობრები არიან. დაძაბული მეცადინეობისა თუ მომქანცველი წვრთნის შემდეგ იგი ხშირად აიღებს ხოლმე ხელში თავის საყვარელ საკრავს. გურამმა იცის სიმღერა და ამიტომაც მის ხოლოს მუდამ სიამოვნებით იხმენენ ფალავნის მეგობრები.

ფოტო გ. კიკვაძისა.

# პ. კობახიძის სახელობის თასზე

ხელოვნების მუშაკთა სახლის საჭადრაკო კლუბში სამ კვირას გრძელდებოდა შეჯიბრება რესპუბლიკის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის პ. კობახიძის სახელობის გარდამავალ თასზე თბილისის თეატრებისა და ხელოვნების სხვა დაწესებულებათა საჭადრაკო კოლექტივებს შორის.

სახელგანთქმული მსახიობის სახელობის თასის გათამაშება დაწესდა 1964 წელს. ამ საპატიო ნადავლის პირველი მფლობელნი გახდნენ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მოჭადრაკეები — მ. სიხარულიძე, ბ. გოგინავა, შ. მოსეშვილი, კ. თოლორდავა...

1965 წელს თასი მოიპოვა სახელმწიფო კონსერვატორიის კოლექტივმა (თ. ჭუმბურიძე, ე. ბელქანია, რ. ტიკიძე და შ. მოსიძე) — 19,5 ქულა 20 შესაძლებლიდან (!).

II ადგილი მოიპოვა სამხატვრო აკადემიამ, ხოლო III — მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა.

**ი. თოდრია.**

# ყოველი მხრიდან

◆ **ბობ ბიტის იმედები**

ამერიკელ სამთო-მოთხილამურეთა მთავარი მწვრთნელი ბობ ბიტი ამბობს, რომ იგი დიდ იმედებს არ ამყარებს მიმდინარე ზამთრის სეზონში აშშ-ის ნაკრებზე. იანვარში ავსტრიაში, შვეიცარიაში, გფრ-ში და იუგოსლავიაში ამერიკელი მოთხილამურეები ძალებს გამოცდიან ევროპის კონტინენტის საუკეთესო სპორტსმენებთან.

ბობ ბიტი დიდხანს არჩევდა გუნდს ამ ტურნესთვის. ეს იმიტომ, რომ ცოტა ხნის წინ სარეკლამო ფილმების გადაღებისას ალპებში დაიღუპა ამერიკის ნაკრები გუნდის კაპიტანი, ჩინებული სამთო-მოთხილამურე ბად ვერნერი. ბიტი აღიარებს, რომ ჯერ კიდევ ვერ გამოინახა ვერნერის შემცვლელი სპორტსმენი. ამას გარდა, ტურნეში მონაწილეობას ვერ მიიღებს ინსბრუკის ოლიმპიადის ორგზის მედალისტი ჯინ სობერტი, რომელიც სწავლობს და არ სურს სწავლა ანაცვალოს სპორტს: შიშობს, რომ დაკარგავს სპეციალურ სტიპენდიას. ასეა თუ ისე, ბიტიმ შეძლო გუნდის შექმნა 5 ვაჟისა და 4 ქალის შემადგენლობით. ვაჟთა გუნდის შემადგენლობაშია ინსბრუკის 1964 წლის ოლიმპიური თამაშების 3 მონაწილე — ბილ ჰიგი, ჯიმ ჰეიგი და ბილ მაროლტი და აგრეთვე 2 დებიუტანტი — რიჩ კაფი და კენ ფილიპსი. ქალთა ნაკრებში არიან დები კატი და ვენდი ალენები, რობინ მორნინგი და სანდრა შელუორთი. ყველაზე უმცროსი მონაწილე 18 წლისაა, უფროსი — 21-სა.

— მე ვფიქრობ, — ამბობს ბ. ბიტი, — რომ ჩვენი სამთო-მოთხილამურე ახალგაზრდობა ჩინებულ გამოცდილებას მიიღებს.

◆ **პიეტრანჯელი მიდის ცირკში**

იტალიური პრესა იუწყება, რომ ჩოგბურთის ვარსკვლავი ნიკოლო პიეტრანჯელი სტოვებს სამოყვარულო სპორტს და გადადის ყბადაღებულ ჯეკ კრამერის ამერიკულ ცირკში. რამ აიძულა სახელგანთქმული ჩოგბურთელი დადგომოდა ამ გზას? გაზეთებში გამოჩნდა ცნობები, რომ პიეტრანჯელიმ თავისებური ულტიმატუმი წაუყენა იტალიის ჩოგბურთის კავშირს. იგი თანახმაა არ გადავიდეს პროფესიონალებში ივლისის თვემდე და მონაწილეობა მიიღოს მოყვარულ სპორტსმენთა თამაშებში დევისის თასზე თუ... „კავშირი მას საშუალებას მისცემს მანამდე განახორციელოს სარფიანი ტურნე". როგორც ხედავთ, ამ მოთხოვნის შესასრულებლად კავშირს არ აღმოაჩნდა საკმაო თანხა. ასეა თუ ისე, სპორტსმენი სულ მალე მოურიგდა კრამერს. „ძალიან მახარებს კრამერის წინადადება, — განაცხადა პიეტრანჯელიმ, — თუ იტალიაში ლირებით მაინცდამაინც ვერ გაისქელებ ჯიბეს, რატომ არ უნდა გავაკეთო ბევრი დოლარი ამერიკასა და სხვა ქვეყნებში კრამერის ცირკში გამოსვლით? საერთოდ, მზად ვარ ახლავე გავფრინდე ავსტრალიაში, სადაც მონაწილეობას მივიღებ ჩემს პირველ ოფიციალურ პროფესიონალურ ტურნირში კრამერის ცირკის სახელით".

◆ **„მეორე ხელთათმნის" საზრუნავი**

კარლ-ჰაინც ბრუნჰიოლცლი „მეორე ხელთათმანია" გფრ-ში ქვემძიმე წონის მოკრივეთა შორის. იგი 26 წლისაა. პროფესიით მუშაა, ცოლიანია და ჰყავს ბავშვი. მაგრამ მშრალი საანკეტო მონაცემები არ იძლევა წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს სპორტსმენი და რა არის მისი საზრუნავი. ბრუნჰიოლცლის საზრუნავი კი... მისი უფროსის განწყობილებაა. შეფი თუ ცუდ გუნებაზეა, მოკრივე პირველსავე „ფათერაკიან" შემთხვევაში დარჩება ქარხნის გარეთ, საერთოდ, უფროსის კარგი გუნებაც კი კარგს არაფერს აძლევს მოკრივეს: შეფი ძალიან უკმაყოფილოა მოკრივის ხშირი წასვლით შეჯიბრებებსა და შეკრებებზე. პირველი ასეთი შემთხვევის დროს მან ქვეყნის ვიცე-ჩემპიონს არ მისცა 2 თვის ჯამაგირი. და ეს მაშინ, როცა დასავლეთგერმანელ მოკრივეთა კავშირი უარს ამბობს გაუნაღდოს სპორტსმენს შეჯიბრებებზე გამგზავრებასთან დაკავშირებული ხარჯები.

— ისეთ დღეში ჩამაგდეს, — ამბობს ბრუნჰიოლცლი, — რომ ან კრივს უნდა დავანებო თავი, ან პროფესიონალებში გადავიდე. არც ერთი და არც მეორე ჩემთვის ხელსაყრელი არ არის, მაგრამ გარემოება ჩემს სურვილს ანგარიშს როდი უწევს.

მართლაც, საძაგელ ვითარებაშია ნიჭიერი სპორტსმენი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ჩოგბურთელთათვის, რომელთა ასაკი 20 წელს არ აღემატება.

ნორჩი ჩოგბურთელების დიდი ჯგუფის წარმატებები გასული საჩოგბურთო წლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და იმედისმომცემი შედეგია. ამავე დროს ურიგოდ როდი გამოიჩინეს თავი საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერებმა, რომლებიც მსოფლიოს და ევროპის სარბიელზე 3-4 წელია რაც გამოჩნდნენ.

თანაბრად, დამაჯერებლად გამოდიოდა თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში თ. ლეიუსი. მის აქტივშია მოგებები ისეთ მოთამაშეებთან, როგორიც არიან მ. სანგსტერი, რ. ვილსონი (ინგლისი), იუგოსლაველი ნ. პილიჩი, რუმინელი ნ. ცირიაკი, ბრაზილიელი ტ. კოხი. თავისთავად მრავლისმეტყველია ლეიუსის I ადგილი მოსკოვის ზამთრის საერთაშორისო შეჯიბრებაში, II ადგილები სკანდინავიის ღია პირველობაში, სტუდენტთა მსოფლიო თამაშებში და მოსკოვის ზაფხულის საერთაშორისო ტურნირში. ლეიუსი გავიდა საფრანგეთის ღია პირველობის მეოთხედფინალში.

თვალსაჩინოდ უკეთესად თამაშობს სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ა. მეტრეველი. წლის განმავლობაში ლეიუსსა და მეტრეველს შორის გამართულმა შვიდმა შეხვედრამ მინიმალური უპირატესობით დააწინაურა ლეიუსი — 4:3. მეტრეველის საუკეთესო მიღწევაა I ადგილი მოსკოვის ზაფხულის საერთაშორისო ტურნირში, სადაც მან მოუგო უიმბლდონის 1965 წლის გმირს, ამერიკელ ა. ფოქსს.

გვლავინდებურად ძლიერია თ. ლეიუს — ს. ლიხაჩოვის წყვილი. მან მოუგო ისეთ მეტოქეებს, როგორიც არიან დ. რალსტონი — ი. მაკკინლეი (აშშ), ვ. ბუნგერტი — ხ. კუნკე (გფრ) და სხვ.

უკანასკნელ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა აქვს დევისის თასზე საბჭოთა ნაკრების გამოსვლებთან დაკავშირებით.

ა. დმიტრიევამ სეზონის მეორე ნახევარში დროებით მიატოვა კორტები, ვინაიდან იგი მალე დედა გახდება. დმიტრიევამ მაინც შეძლო პირველი პრიზის მოპოვება უიმბლდონის ქალთა დამატებით ტურნირში, რომელმაც საკმაოდ ძლიერი და მრავალრიცხოვანი შემადგენლობა შემოიკრიბა.

დმიტრიევას გარეშე სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ტალინელმა სტუდენტმა, 21 წლის ტ. სოომემ. კალკუტაში ამას წინათ მან შეძლო აზიის ქვეყნების ღია პირველობაში 3 პირველი ადგილის მოხვეჭა.

ქვეყნის ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა, 20 წლის გ. ბაკშეევამ (კიევი) მოსკოვის საერთაშორისო ტურნირშიც II ადგილი აიღო. მან აქ მოუგო ავსტრალიის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს დ. ტეგარტს.

საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერთა თამაშში უთუო პროგრესი შეიმჩნევა. მაგრამ 1965 წელს ჩვენებმა მაინც ვერ მიაღწიეს უმაღლეს საერთაშორისო კლასს. საბჭოთა ჩოგბურთელთაგან ჯერჯერობით ვერც ერთი ვერ მოხვდა მსოფლიოს უძლიერესთა ათეულში. ამიტომ ჩვენი ამოცანაა დაბეჯითებით ვამაღლოთ თამაშის კლასი.

წლეულს ბევრი რამაა გათვალისწინებული. დამუშავებულია კორტების აგების ფართო პროგრამა, განსაკუთრებით, დახურული კორტებისა. იანვარში კიევში მწყობრში ჩადგება ორი დახურული მოედანი, სადაც გაიმართება საკავშირო ზამთრის შეჯიბრებები. ამ ტურნირისთვის ჩოგბურთელები უკვე ემზადებიან დნეპროძერჟინსკის ახალ კორტებზე. დახურული კორტები შენდება მოსკოვში, ლენინგრადსა და კალინინგრადში. საპროექტო სამუშაოები მთავრდება ხარკოვში, ტაშკენტში, ალმა-ათაში, კუიბიშევსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში. ხანგრძლივი, სიოვლიანი ზამთრის პირობებში მრავალრიცხოვანი დახურული დარბაზების უქონლად ძნელია მივაღწიოთ მასობრიობისა და ოსტატობის დონის ამაღლებას.

სპორტული მრეწველობა წლეულს აგრეთვე გაითვალისწინებს ჩოგბურთელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. გაიყიდება „ლენინგრადის" მარკის 2.500.000 ბურთი, მოსკოვისა და ტარტუს ფაბრიკების 35 ათასი ჩოგანი. ამ საწარმოებმა ბოლო ხანებში საგრძნობლად გააუმჯობესეს თავიანთი პროდუქცია.

წინა წლებთან შედარებით მიმდინარე სეზონში საბჭოთა ჩოგბურთელები გაცილებით მეტჯერ შეხვდებიან საზღვარგარეთელ კოლეგებს. ჩვენს საერთაშორისო კალენდარში დევისისა და გალეას თასებზე ტრადიციული გამოსვლების, უიმბლდონისა და მის წინა ორ ტურნირში მონაწილეობის გარდა, პირველადაა დაგეგმილი საბჭოთა სპორტსმენების ასპარეზობა იუგოსლავიის, გფრ-ისა და შვეციის ღია პირველობებში. ასევე ნავარაუდევია ფართო გაცვლა - გამოცვლა ფრანგ ჩოგბურთელებთან, ვიზიტები — ჩვენს მეზობლებთან ავღანეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, გდრ-ში, პოლონეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში. თითქმის მთელ იანვარს დაჰყოფენ ინდოეთში ტ. სოომე, ა. მეტრეველი, თ. კაკულია, რომლებიც იქ სხვადასხვა ტურნირში ითამაშებენ. სსრ კავშირში გაიმართება საერთაშორისო ტურნირები: ჭაბუკებისა და გოგონებისთვის (კიევში), 21 წლამდე ახალგაზრდებისთვის (ტალინში), უძლიერესი ოსტატებისთვის (მოსკოვში, ზამთარსა და ზაფხულს).

შარშანდელზე ფიქრმა და მაკალამის სიტყვებმა უიმბლდონში საბჭოთა დღის თაობაზე დამაჯერეს, რომ წლეულს დიდ საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირებში ასეთი დღე კიდევ მეტი იქნება.

**ვ. კოლევორსკი,**

სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

# ობიექტურ გულშემატკივართა კლასიფიკაცია

1965 წლის დეკემბერში გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის" რედაქციამ წინადადებით მიმართა სპორტის მოყვარულებს შეედგინათ საბჭოთა ფეხბურთელთა კლასიფიკაცია ასეთი კატეგორიების მიხედვით: ექსტრა-კლასის მოთამაშეები, საერთაშორისო კლასის მოთამაშეები და ეროვნული კლასის მოთამაშეები.

მკითხველებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონკურსში. საინტერესოა, რომ წერილების თითქმის მესამედი საქართველოდან მივიდა: ჩვენმა გაზეთმა ქართველ მკითხველებს აუწყა „მოსკოვსკი კომსომოლეცის" ეს საინტერესო თაოსნობა და მათაც ხალისით მიიღეს მონაწილეობა კონკურსში.

„მოსკოვსკი კომსომოლეცის" რედაქცია აღნიშნავს, რომ ქართველი გულშემატკივრები ძალზე ობიექტურნი აღმოჩნდნენ თავიანთ შეფასებებში, რითაც ფეხბურთის კარგი ცოდნა და ნამდვილი სიყვარული გამოამჟღავნეს.

ექსტრა-კლასის ფეხბურთელთა სიაში გულშემატკივრებმა შეიყვანეს სულ 8 ფეხბურთელი. ესენია: ლ. იაშინი — 139 ხმა, ვ. ვორონინი — 90, ს. მეტრეველი — 63, მ. მესხი — 54, ე. სტრელცოვი — 30, ვ. ივანოვი — 26, ა. შესტერნიოვი — 21, ვ. პონედელნიკი — 4.

ჟიურიმ გადაწყვიტა გამოეთქვალა ე. წ. „გასასვლელი ქულა": ყველა ხმა დაჯამდა და გაიყო კანდიდატთა რიცხვზე, რის შემდეგ დადგინდა გასასვლელი ქულა — 53.

ამრიგად, ექსტრა-კლასის მოთამაშეთა საბოლოო სიას მიეცა ასეთი სახე:

1. **ლ. იაშინი** („დინამო", მოსკოვი),
2. **ვ. ვორონინი** („ტორპედო", მოსკოვი),
3. **ს. მეტრეველი** („დინამო", თბილისი),
4. **მ. მესხი** („დინამო", თბილისი).

(მეკარე, ნახევარმცველი და 2 თავდამსხმელი).

საერთაშორისო კლასის მოთამაშეთა შორის დასახელებულ იქნენ ა. შესტერნიოვი, ვ. პონედელნიკი, ვ. ივანოვი, ე. სტრელცოვი, ი. საბო, ა. კავაზაშვილი, გ. ჰუსაინოვი, მ. ხურცილავა, ვ. ბარქაია, ი. ჩისლენკო, შ. იამანიძე. აქ გასასვლელ ქულად დაწესებულ იქნა ციფრი 45. ამის მიხედვით საერთაშორისო კლასის მოთამაშეებად გავიდნენ:

1. **ვ. ივანოვი** („ტორპედო", მოსკოვი),
2. **ა. შესტერნიოვი** (ცსკა),
3. **ე. სტრელცოვი** („ტორპედო", მოსკოვი),
4. **ვ. პონედელნიკი** („სპარტაკი", მოსკოვი),
5. **ი. საბო** („დინამო", კიევი),
6. **ა. კავაზაშვილი** („ტორპედო", მოსკოვი),
7. **გ. ჰუსაინოვი** („სპარტაკი", მოსკოვი).

(მეკარე, მცველი, ნახევარმცველი და 4 თავდამსხმელი).

ეროვნული კლასის მოთამაშეთა განსაზღვრისთვის დაწესებულ იქნა გასასვლელი ქულა 25. მათ რიცხვში შევიდნენ:

1. **ი. ჩისლენკო** („დინამო", მოსკოვი), 2. **მ. ხურცილავა** („დინამო", თბილისი), 3. **ო. ბაზილევიჩი** („დინამო", კიევი), 4. **ა. ბანიშევსკი** („ნეფტიანიკი", ბაქო), 5. **ვ. ბანიკოვი** („დინამო", კიევი), 6. **ვ. ბარქაია** („დინამო", თბილისი), 7. **ვ. ბატახოვი** („ტორპედო", მოსკოვი), 8. **ა. ბიბა** („დინამო", კიევი), 9. **გ. გუსაროვი** („დინამო", მოსკოვი), 10. **ვ. დანილოვი** („ზენიტი", ლენინგრადი), 11. **ვ. დიკარევი** („სპარტაკი", მოსკოვი), 12. **ბ. კაზაკოვი** (ცსკა), 13. **ა. კორნეევი** („სპარტაკი", მოსკოვი), 14. **ა. კრუტიკოვი** („სპარტაკი", მოსკოვი), 15. **ვ. ლობანოვსკი** („ჩერნომორეცი", ოდესა), 16. **გ. ლოგოფეტი** („სპარტაკი", მოსკოვი), 17. **ე. მალაფეევი** („დინამო", მინსკი), 18. **ვ. მასლაჩენკო** („სპარტაკი", მოსკოვი), 19. **მ. მუსტიგინი** („დინამო", მინსკი), 20. **ლ. ოსტროვსკი** („დინამო", კიევი), 21. **ნ. ოსიანინი** („კრილია სოვეტოვი", კუიბიშევი), 22. **ვ. პონომარიოვი** (ცსკა), 23. **ვ. სერებრიანიკოვი** („დინამო", კიევი), 24. **რ. ურუშაძე** („დინამო", თბილისი), 25. **ვ. ფედოტოვი** (ცსკა), 26. **ვ. ხმელნიცკი** („დინამო", კიევი), 27. **ვ. ცარიოვი** („დინამო", მოსკოვი), 28. **ვ. შუსტიკოვი** („ტორპედო", მოსკოვი), 29. **ვ. შჩეგოლკოვი** („დინამო", კიევი), 30. **შ. იამანიძე** („დინამო", თბილისი).

(3 მეკარე, 10 მცველი, 3 ნახევარმცველი და 14 თავდამსხმელი).

# სამხრეთული ტემპი ჩრდილოეთის ყინულზე

ჩვენი ქვეყნის დინამოელებს კარგი ტრადიციები აქვთ ციგურებით ფიგურულ სრიალში ერთ-ერთი მათგანია ამ საზოგადოების ახალგაზრდა სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრება, რომლის შედეგების მიხედვით სათანადო შევსებას იღებენ მოზრდილთა გუნდები. ახალგაზრდა დინამოელთა ასპარეზობა უკვე რამდენიმე წელია რეგულარულად ეწყობა და მასში მუდამ მხოლოდ ჩრდილოეთის რესპუბლიკებისა და ქალაქების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ეს ტრადიცია საქართველოს სპორტსმენებმა პირველად შარშან დაარღვიეს, როცა ყინულზე გამოვიდნენ ი. ჯაფარიძე და თ. ჯიქია.

ლენინგრადში ამას წინათ გამართულ შეჯიბრებაში თბილისელებმა მეორედ სცადეს ძალები პირად პირველობაში და წარმატებითაც. ამიტომ იყო, რომ მათ მიერ შესრულებულ ყოველ ვარჯიშს აღფრთოვანებული ტაშით ხვდებოდნენ არა მარტო თოვლიანი რესპუბლიკების წარმომადგენლები, არამედ... მუდამ თავშეკავებული მსაჯებიც.

შეჯიბრება შესანიშნავად დაიწყო თბილისის 46-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ირაკლი ჯაფარიძემ, რომელიც მოზრდილთა I თანრიგის პროგრამით ასპარეზობდა. სავალდებულო პროგრამა მან ბრწყინვალედ შეასრულა და ლიდერიც გახდა. მოზარდთა I თანრიგში კარგი მომზადება გამოავლინა თბილისის 54-ე სკოლის მეშვიდეკლასელმა თამარ ჯიქიამ, რომელიც სავალდებულო პროგრამის მერე III ადგილზე დამკვიდრდა.

თავი ისახელეს შეჯიბრების დებიუტანტებმა — თბილისის 102-ე სკოლის მერვეკლასელმა ალექსანდრე შამყულაშვილმა (IV ადგილი) და 109-ე სკოლის მერვეკლასელმა ნათელა ჭკუასელმა (VI ადგილი).

ნებისმიერი პროგრამით ტურნირი გაიმართა საქართველოს დინამოელებისთვის უჩვეულო პირობებში, ვინაიდან დარბაზის ყინულის მოედნის ფართი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, ასპარეზობა ღია ცის ქვეშ გაგრძელდა. აქ კი ყინვა 30 გრადუსს აღწევდა. მიუხედავად ამისა, თბილისელებმა სამხრეთულ ტემპში, მოხდენილად განაგრძეს შეჯიბრება. ჯაფარიძემ ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა და „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვა მოზრდილთა I თანრიგში. თანაგუნდელს არც შამყულაშვილი ჩამორჩა. ლენინგრადელ ო. რიუმინთან ორთაბრძოლაში მან II ადგილი დაიკავა, ხოლო ჯიქიამ ბოლომდე შეინარჩუნა III ადგილი. ათეულში შევიდა ჭკუასელიც.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ვესაუბრე თბილისელი სპორტსმენების მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ე. პლინერს. აი, რა გვითხრა მან:

— თბილისელი ფიგურისტების შედეგები საკავშირო სარბიელზე უდავოდ დიდი წარმატებაა. განსაკუთრებით ქების ღირსია ჯაფარიძე. იგი „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ოლიმპიურ გუნდში ჩარიცხეს და მონაწილეობას მიიღებს ტრადიციულ საკავშირო ტურნირში კიროვის პრიზზე, რომელიც 6-8 თებერვალს გაიმართება კიროვში. საქართველოს ფიგურისტების გამარჯვება მათი დაუღალავი შრომის შედეგია. ამ წარმატებაში დამსახურებული წვლილი შეიტანა ახალგაზრდა მწვრთნელმა თ. ხანიაშვილმაც. თბილისში ციგურებით ფიგურული სრიალის განვითარებისთვის ყველა პირობაა შექმნილი და უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს დედაქალაქის წარმომადგენლები კვლავაც დიდ წარმატებებს მიაღწევენ.

**ვ. ნედაშკოვსკი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).
ლენინგრადი.



• • •

სურათზე: ი. ჯაფარიძე შეჯიბრების დროს.
ფოტო ე. ლიუბიმოვისა.

აფრიკა ილვიძებს! აფრიკა გამოდის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ვრცელ გზაზე. ეს პროცესი მძლავრად იგრძნობა სპორტშიც. „შავი კონტინენტის" ახალგაზრდობა, რომელიც აქამდე მოკლებული იყო ფიზკულტურულ წრთობას, სპორტს, უმარტივეს ბაზებსაც კი, ახლა მასობრივად გამოდის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ყველა სფეროში.

* * *

სურათზე: ზანზიბარელი ახალგაზრდები თავისუფალ დროს ფეხბურთის „საიდუმლოებათა" შესწავლას უთმობენ.

ფოტო ვ. მუსაელიანისა.
(საკდესი).



# ფეხბურთის ამბები

● **მეხიკო-სიტი.** მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯ. კანედომ განაცხადა, რომ მსოფლიოს IX საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური მატჩები ჩატარდება მექსიკაში 1970 წლის მაის-ივნისში.

● **ლონდონი.** ინგლისის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ჩაატარებს შემდეგ მატჩებს: 23 თებერვალს ლონდონში — გფრ-ის გუნდთან, 2 აპრილს გლაზგოში — შოტლანდიასთან, 4 მაისს ლონდონში — იუგოსლავიასთან, 26 ივნისს ჰელსინკში — ფინეთთან, 29 ივნისს ოსლოში — ნორვეგიასთან, 3 ივლისს კოპენჰაგენში — დანიასთან და 5 ივლისს ვარშავაში — პოლონეთთან.

● **ბუქარესტი.** საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მეკარე დომინგო ამიერიდან სათავეში ჩაუდგება რუმინეთის ოლიმპიურ ნაკრებს და მოამზადებს მას 1968 წლის თამაშებისთვის.

# ასე ჩატარდება

**რომი, 13 იანვარი.** აქ გაიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სხდომა, რომელზეც განისაზღვრა მსოფლიოს ვაჟთა ჩემპიონატის ჩატარების წესი ფრენბურთში. შეჯიბრება გაიმართება პრაღაში, მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში.

შედგენილია შეჯიბრების წინასწარი სტადიის 4 ჯგუფი. საბჭოთა ფრენბურთელები მოხვდნენ „ბ" ჯგუფში, სადაც შეხვდებიან უნგრეთის, გდრ-ის, მექსიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის გუნდებს.

ყოველი ჯგუფიდან 2 საუკეთესო კოლექტივი გავა ფინალში, სადაც გათამაშდება ჩემპიონატის მედლები და მომდევნო ადგილები.

## ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა ორი განმეორებითი მერვედფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. **პრაღაში** ადგილობრივმა „დუკლამ" დაამარცხა „გიოპინგენი" (გფრ) — 21:10, ხოლო **ვენაში** ავსტრიის ჩემპიონმა „რაპიდმა" წააგო ციურიხის „გრასჰოპერსთან" — 11:15.

ჩეხოსლოვაკიელები და შვეიცარიელები გავიდნენ თასის გათამაშების მეოთხედფინალში.

▲ **პარიზი.** ცნობილმა ფრანგმა მოთხილამურემ, ინსბრუკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა გიგანტურ სლალომში ფ. ბონლიომ, რომელიც პროფესიონალებში გადავიდა, საფრანგეთის სათხილამურო სპორტის ფედერაციას სთხოვა დააბრუნონ იგი სამოყვარულო სპორტში.

▲ **ნიუ-იორკი.** აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ჰოლანდიელმა ადა კოკმა გამარჯვება მოიპოვა 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში — 1.07,0 და 2.28,0. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა მოიგო 15 წლის ამერიკელმა ჯ. კრუზემ — 2.15,1.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**17 იანვარს**

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" თბილისის საქალაქო ორგანიზაციის მუდმივმოქმედი ლექტორიუმი (ლენინის ქ. № 35) აწყობს საჯარო ლექციას თემაზე: **„მონტევიდეოდან ლონდონამდე (მსოფლიო პირველობა ფეხბურთში)"**

ლექციას წაიკითხავს სპორტული მიმომხილველი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გ. აკოფოვი.

ბოლოს ნაჩვენები იქნება კინოფილმი.

დასაწყისი 19 ს.

# სენსაციით დაიწყო

ჩვენი დედაქალაქის სპორტკავშირის საჩოგბურთო კორტებზე მიმდინარეობს თბილისის ზამთრის პირველობა, რომელშიც ჩაებნენ 23 ქალი და 32 ვაჟი, მათ შორის — ქალაქის შარშანდელი ჩემპიონები, სპორტის ოსტატები რ. აბჟანდაძე და ნ. მძინარიშვილი.

მეოთხედფინალური შეხვედრები უსენსაციოდ არ დამთავრებულა: ნ. მძინარიშვილმა წააგო ახალგაზრდა ვ. შავლისთან — 6:3, 2:6, 4:6. შავლისმა მოიპოვა უძლიერესთა ოთხეულში თამაშის უფლება, რაც ახალგაზრდა ჩოგბურთელის დიდი წარმატებაა.

ჩემპიონის წოდებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს აგრეთვე ვ. გოგლიძემ, რომელმაც მოუგო პ. მეტრეველს (5:7, 6:3, 6:2), პ. აბაშკინმა (დაამარცხა ვ. პერეგუდოვი — 3:6, 6:1, 7:5) და ა. ვერულავამ (მოუგო ო. გიგაიას — 6:3, 7:5).

როგორც მოსალოდნელი იყო, ქალთა ფინალურ ოთხეულში გავიდნენ რ. აბჟანდაძე, ა. ივანოვა, ი. ერმოლოვა და ნ. თუხარელი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ერმოლოვასა და ივანოვას მატჩი, მაგრამ, როგორც იტყვიან, ერმოლოვას თამაში არ გამოუვიდა: ახალგაზრდა ივანოვამ მეტოქე იოლად დაჯაბნა — 6:4, 6:1. მეორე წყვილში აბჟანდაძემ დაამარცხა თუხარელი — 6:2, 6:4.

ქალთა ფინალური ტურნირის მეორე დღეს მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო აბჟანდაძე — ივანოვას შეხვედრა. აბჟანდაძემ დამაჯერებლად დაიწყო ორთაბრძოლა და დაწინაურდა კიდეც — 7:5, მაგრამ მომდევნო ორ პარტიაში ივანოვამ თავბრუდამხვევი ტემპი შესთავაზა მეტოქეს. აბჟანდაძემ ვერაფერი გააწყო და წააგო — 0:6, 1:6. ამ დღის მეორე შეხვედრაში თუხარელმა წააგო ერმოლოვასთან — 1:6, 6:3, 3:6.

ვაჟთა ფინალური ტურნირი მოგებით დაიწყო შავლისმა: დაამარცხა გოგლიძე — 6:3, 6:4. **ფ. თუშიშვილი.**